# ახალი ხარაგაული

402 (10) 15 ივლისი, 2019 წ.

## მუნიციპალიტეტის მერმა თათბირზე მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ნიკოლოზ თოფურიძემ მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გამართა. თოფურიძემ გასული ერთი კვირის განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მოისმინა ასევე ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და გამოცხადებული ტენდერების შესახებ. მისივე განმარტებით, 2020 წლისთვის წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია ყველა სოფელში უნდა დასრულდეს. ხარაგაულის



მერმა ყურადღება ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილ პროექტებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებები ეტაპობრივად ფორმდება მეწარმეებთან და სამუშაოები უახლოეს მომავალში აქტიურ ფაზაში გადავა.

ნიკოლოზ თოფურიძემ სტიქიის ზონაში არსებული ვითარებაც შეაჯამა. მისივე ინფორმაციით, ლელვანთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზის აღდგენამდე, რომელიც 7 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანდა, სოფელში მისასვლელი მეორე, შედარებით მოკლე, ალტერნატიული მონაკვეთი მოეწყო. რაც შეეხება ხიდების, ხიდ - ბოგირებისა და სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენას, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებულია 220 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება პროექტების შეძენაზე.

დასასრულს, ხარაგაულის მერმა წარმომადგენლებისგან სოფლებში ამ დროისათვის არსებული პრობლემატური საკითხები მოისმინა და აღნიშნა, რომ მათი მოგვარების გზებში უშუალოდ ჩაერთვება.

## დღე - სამომავლო პერსპექტიული ურთიერთობების ათვლის წერტილი...

უამრავ წარმატებულ და ღრმაშინაარსიან დღეთაგან 5 ივლისი გამორჩეულად აღინუსხა ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის (ხელმძღვანელი ნინო დიდიძე) და მისი შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებაში. ამ დღეს რაღაც ზეაღმატებული სიხარული და სიამოვნება იხატებოდა მუზეუმის თითოეული თანამშრომლის სახეზე. ეს არც იყო გასაკვირი, კარგა ხანია, მუზეუმი ადგილობრივი ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით ემზადებოდა ამ დღისათვის. 5 ივლისს, დღის პირველი საათისათვის, ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ცნობილი ფერმწერის, პროფესორ ლევან ცუცქირიძის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ცენტრის შესაქმნელად ქართველ მხატვართა შემოწირული ნამუშევრების გამოფენის გახსნა იყო დაგეგმილი.

90-მდე სტუმარი ეწვია ამ დღეს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს. დარბაზები ველარ იტევდა გამოფენის დამთვალიერებლისა და ცნობილ ხელოვანებთან შეხვედრის მსურველთ.

გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა გამოჩენილი ქართველი ავტორების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი 150-მდე ექსპონატი (ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა).

როგორც პროექტის კურატორმა, ჩვენი სახელოვანი თანამემამულის „ხელოვნების ქურუმად“ სახელდებული ლევან ცუცქირიძის ვაჟმა, ახალგაზრდა მხატვარ - მოქანდაკე მამუკა ცუცქირიძემ, აღნიშნა: „ყველაზე მთავარი ხვალინდელ საქართველოზე ზრუნვაა. მომავალმა თაობამ კარგად უნდა გააცნობიეროს, თუ რა მემკვიდრეობა დატოვეს ნებისმიერ სფეროში მამებმა, ბაბუებმა, ზოგადად, წინაპრებმა, აღმოაჩინოს საკუთარი „მე“ და იმ გზით განაგრძოს სვლა, რომელიც ყველაზე მეტად იქნება მორგებული საკუთარ უნარ - შესაძლებლობებზე, რათა მეტი შესძინოს და მეტად დაიხარჯოს ქვეყნისათვის.

სამომავლო ჩანაფიქრის ხორცშესხმაში დიდი იმედი მაქვს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომისა. ფიქრი კი ხარაგაულის ახალგაზრდობაზეა ორიენტირებული, რომ ხარაგაულში ამოქმედდეს ხელოვნების სკოლა, სადაც მოსწავლეები დაეუფლებიან ქანდაკების, გრაფიკის, ჭედურობის, მინანქრის საიდუმლოებებს.

სექტემბრიდან, ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველი დღიდანვე, ამოქმედდება ხატვის წრე. ამისთვის გარკვეულწილად მასალები (საღებავები, ფუნჯები, მოლბერტები და ა.შ.) უკვე ჩამოვიტანეთ. ეს პროცესი ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ, გაგრძელდება. გადაწყვეტილი გვაქვს, მასწავლებლად მოვიწვიოთ პიროვნება, რომელსაც მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. მასთან ერთად იმუშავებს ერთი ადგილობრივი პედაგოგი (ცხადია, ვგულისხმობ ხატვის ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას).

ვინ იცის, ახალგაზრდების მხრიდან რა უნარ - შესაძლებლობები გამოვლინდება, კვლავ რამდენი ახალი ვარსკვლავი გაბრწყინდება ხარაგაულიდან ქართული ეროვნული ხელოვნების კაშკაშა ცაზე...

უფრო შორს მიმავალი სურვილიც მინდა გაგიმხილოთ, რომ ხარაგაულში გაიმართება „საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი.“ აქეთკენ სწრაფვა თავდაუზოგავ შრომას, ინტერესსა და საქმის სიყვარულს მოითხოვს.



გვინდა, ისეთი ხნული გავავლოთ, რომ ბარაქიანი მოსავალი მოვიმკათ უფლის შემწეობით...“

* * *

ათვალიერებ გამოფენას და გრძნობ ხელოვნების მაგიურ ძალას... ყველა ნამუშევარი თითქოს თავისკენ გეწევა, თავისკენ გიხმობს - ეს ქანდაკებაა, ჭედურობა, ილუსტრაცია, გრაფიკა, ფერწერა თუ შერეული ტექნიკის ხელოვნების ნიმუში.

ხელოვანთა ბოლო ნამუშევრებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილია ის ექსპონატებიც, რომლებიც დიდი ავტორიტეტის - ლევან ცუცქირიძის - პატივსაცემად 2017 წელს გადასცეს ხელოვანებმა საჩუქრად მუზეუმს.

დიახ, თავისკენ გიზიდავს: მერაბ ბერძენიშვილის „მოკრივე,“ იაკობ ნიკოლაძის „ჩახრუხაძე,“ ირაკლი ოჩიაურის ჭედურობა, ელგუჯა ამაშუკელის „მზეჭაბუკი,“ გოგი ოჩიაურის „ზურაბ ნიჟარაძის პორტრეტი,“ ლევან ცუცქირიძის ოთხი უბრწყინვალესი ნამუშევარი, ლადო თევდორაძის „იმერელი,“ კობა გურულის ჭედურობა „მედეა და ოქროს საწმისი,“ კიმი ტაბატაძის „იმერელი მეტყევე,“ დავით ტაბატაძის კომპოზიციები (ხე და ლითონი), „მარელისის წისქვილი,“ მამუკა ცუცქირიძის „ახალგაზრდა მეომრის პორტრეტი,“ ნიკოლოზ თაბუკაშვილის „საბანაო ხანდებში,“ „ღუდუმექეთი. სასიმინდე“ და სხვა უამრავი...

აი, მალხაზ ცისკაძის ქანდაკება „ვარდენი.“ შამოტის მასალაში გაცოცხლებული ნაღდი იმერელი თითქოს ეს - ესაა, მოიკითხე, გაგახარა მასთან შეხვედრამ და თვითონაც გაიხარა, ისეთი ღიმილი გადაჰფენია სახეზე...

კარგა ხანს ვჩერდები დიდი შემოქმედის იაკობ ნიკოლაძის „ჩახრუხაძესთან“ უკვე მერამდენედ „ვხვდები მას“ და ყოველთვის ჩემი საყვარელი მასწავლებელი, აწ განსვენებული, ლევან აბაშიძე მახსენდება. ის ძველ ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა. მაშინ ჩახრუხაძის „თამარიანს“ პროგრამით გარკვეული საათები ეთმობოდა. პირველად სწორედ ლევან მასწავლებლისაგან მოვისმინე „ჩახრუხაძის“ თავსაბურავის ეპიზოდი. ქანდაკების ეს დეტალი უბრალო შემთხვევამ განსაზღვრა. შემოქმედს ადრე ამის ჩანაფიქრი არ ჰქონია, ძერწვის პროცესში, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, თიხით დასვრილი ხელები ტილოზე შეიწმინდა და ეს ტილო სრულიად შემთხვევით თავზე გადაადო დაუსრულებელ ქანდაკებას. უცბად შეხედა და გაოცდა... ქანდაკებამ სრულყოფილი სახე მიიღო... ასე დატოვა, არაფერი აღარ მიუმატებია...

* * *

„5 ივლისი ისტორიულ დღედ დარჩება ხარაგაულის ცხოვრებაში,“ - ასე დაასრულა თავისი გამოსვლა ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ამ მნიშვნელოვანი დღის შინაარსიანად წარმართვისათვის. სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელთაც ესოდენ ლამაზი დღე აჩუქეს ხარაგაულსა და ხარაგაულელებს.

მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა, მუზეუმის ხელმძღვანელმა ნინო დიდიძემ სათანადო შეფასება მისცეს ამ მშვენიერ დღეს და შემდეგ მადლობის სიგელები „სამუზეუმო საქმის განვითარება - ხელშეწყობისათვის“ გადასცეს მობრძანებულ ხელოვანებს, ხოლო აწ უკვე მარადისობის ბინადარ შემოქმედთათვის გათვალისწინებული სიგელები, მათი ოჯახის შთამომავლებმა მიიღეს.

„ეს დღე, 2019 წლის 5 ივლისი, ათვლის წერტილი იქნება იმ დიდი სამომავლო ნაყოფიერი ურთიერთობისათვის, რაც ითვალისწინებს ნიჭიერი ახალგაზრდების უფლისაგან მიმადლებული, ჯერ კიდევ დაფარული, შესაძლებლობების გამოვლინებასა და გამომზეურებას!“ - დაასრულა იმედიანი რწმენით გაჯერებული საუბარი პატრიოტმა ხელოვანმა მამუკა ცუცქირიძემ.

ინებოს უფალმა!

მერი გიორგიძე

## ხარაგაულში უსახლკაროთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა განხორციელდება

ხარაგაულში უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა განხორციელდება. ამის შესახებ დეპუტატებმა გადაწყვეტილება პირველ ივლისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მიიღეს. საკითხი მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ წარადგინა. დებულებაში ნათლადაა გაწერილი, რომ სტატუსის მიღებით დაინტერესებული პირი ვალდებულია, განცხადება დააფიქსიროს მერიაში. უსახლკაროდ რეგისტრირებულად ითვლება პირი, რომელიც წარადგენს სრულყოფილად შევსებულ „უსახლკარო პირების რეგისტრაციის შესახებ“ განაცხადის ფორმასა და შესაბამის დოკუმენტაციას. რეგისტრაციაზე უარის მიღების შემთხვევაში კი მიმართვა ორი წლის განმავლობაში არ განიხილება.

„ამ ეტაპზე გვყავს 17 უსახლკარო, ასევე გვაქვს ერთი შემთხვევა, როდესაც ბინის ქირით უზრუნველვყოფთ პიროვნებას. შეიქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შევლენ: მერიის თანამდებობისა და სხვა პროფესიული საჯარო მოხელეები, შესაძლოა, მოწვეულ იქნენ სპეციალისტები (არასამთავრობო ორგანიზაციების და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები). სამუშაო ჯგუფი მუშაობისას ყურადღებას მიაქცევს ბენეფიციარების სოციალურ მდგომარეობას, მარტოხელა მშობლის სტატუსს, მრავალშ-



ვილიან ოჯახებს,“- ამბობს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

ნანა კიკნაძის თქმით, მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ აქვს თავშესაფარი, თუმცა აქვს საშუალება, ბინის ქირით უზრუნველყოს პირი. მისივე განმარტებით, მერია დამოუკიდებლად ვერ გააკეთებს თავშესაფარს, თუმცა თუ იქნება დაინტერესება არასამთავრობოების მხრიდან, თანამონაწილეობას მიიღებს.

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ყურადღება გაამახვილა შეფასების პროცედურებზე, თავშესაფრით სარგებლობის ვადებსა და პირობებზე, ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება - მონიტორინგზე და სხვა ღონისძიებებზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში განხორციელდება.

*თამარ მაღრაძე*

# ხარაგაულის საავადმყოფოში თვალის ოპერაციები ტარდება

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულება ადგილობრივებს მნიშვნელოვან სიახლეებს სთავაზობს. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, კლინიკაში ოფთალმოლოგიური ოპერაციები გაიკეთონ. რამდენიმე ოპერაცია პროფესორმა საშა ალექსიძემ დამხმარე მედპერსონალთან ერთად უკვე ჩაატარა, რომელმაც წარმატებით, ყოველგვარი გართულებების გარეშე, ჩაიარა. მომსახურების ხარისხით კი პაციენტები კმაყოფილი არიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ საშას ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ამჟამად თბილისში სხვადასხვა წამყვან კლინიკებში საქმიანობს. მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1982-1986 წწ. იყო თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი–ოფთალმოლოგი; 1986-1988 წწ. გახლდათ რესპუბლიკური ოფთალმოლოგიური ცენტრის პროფესორი, განყოფილების გამგე; 1989 წლიდან კი აღნიშნულ ცენტრს ხელმძღვანელობს. იგი ავტორია 85 სამეცნიერო ნაშრომის - კატარაქტის, გლაუკომის, თვალის ტრავმატიზმის, ბადურის ჩამოშლის პრობლემებზე.

,,-ერთი წელია, რაც ხარაგაულში ჩამოვდივარ და ოპერაციებს ვაკეთებ. მომართვიანობა საკმაოდ გაზრდილია, რაც ნამდვილად მისასალმებელია. კლინიკამ მოიპოვა პაციენტების ნდობა. იშვიათია, ასეთი თბილი და მეგობრული გარემო სადმე შეგხვდეს, მედპერსონალი მოტივირებულია,



იმუშაოს ხარისხიანად. ძალიან ბევრ რეგიონში დავდივარ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხარაგაულის საავადმყოფო თანამედროვე სტანდარტებზეა ორიენტირებული. აქვე არ შემიძლია არ ვისაუბრო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე. ეს არის უპრეცედენტო პროგრამა, რომელმაც ბევრ მოქალაქეს სიცოცხლე აჩუქა“.-აღნიშნავს ჩვენთან საუბარში საშა ალექსიძე.

გიორგი ამურველაშვილი, რომელიც ხარაგაულის კლინიკის დირექტორად სულ რამდენიმე ხანია, დაინიშნა, ამბობს, რომ სამედიცინო დაწესებულებაში, გარდა თვალის ოპერაციებისა, სხვა ოპერაციებიც კეთდება და მაქსიმალურად დაცულია პაციენტების უსაფრთხოება. მისივე ინფორმაციით, კლინიკა ადგილობრივებს სრულ ამბულატორიულ გამოკვლევასა და მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებას სთავაზობს. ,,გვყავს საუკეთესო მედპერსონალი და კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ კარდიოლოგის, ქირურგის, თერაპევტის, ენდოკრინოლოგის, ოფთალმოლოგის, პედიატრის კონსულტაციები და ჩაიტარონ ექოსკოპიური კვლევები. მალე ჩვენს გუნდს შემოუერთდება ახალი რეანიმატოლოგი და კიდევ უფრო გამართულად იფუნქციონირებს რეანიმაციული განყოფილება. აქვე მოგახსენებთ, რომ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე, მაქსიმალურად, მთელი შესაძლებლობით ცდილობს, ხარაგაულის მოსახლეობამ ადგილზე მიიღოს სრული სამედიცინო მომსახურება და არ მოხდეს პაციენტების სხვა რაიონში გადინება.“ -განმარტავს ბატონი გიორგი.

შეგახსენებთ, რომ თვალის ოპერაციები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით. კერძოდ, მოქალაქეებს დარჩენილი ხარჯის - 50% ადგილობრივი ბიუჯეტიდან უფინანსდება.

ეკა შავიძე

# ჩემთვის ეს სიყვარულია!..

ხარაგაულელები ერთხელ კიდევ უზომოდ გაგვახარა ქართველებთან 26-საუკუნოვანი მეგობრობითა და სიყვარულით გადაჯაჭვული ერის, ებრაელთა, შვილების სტუმრობამ.

დიახ, ხარაგაულს სტუმრობდა კაცი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს საქართველო. რატომ? იმიტომ, რომ ის საქართველოში დაიბადა და აღიზარდა, აქ ეზიარა მეგობრობის, ჰუმანიზმის, სიყვარულის ჟამშეუვალ გრძნობებს... ეს პიროვნება ალექსანდრე პელეგია: მათემატიკოსი, კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი, ისრაელის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, პოეტი, დრამატურგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ისრაელის ხელოვანთა პროფესიონალური გაერთიანება „ემის“ წევრი. ბატონ ალექსანდრეს დიდი სურვილი ჰქონდა, სწვეოდა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს, რომლის მესაჭე ქალბატონ იზა ვეფხვაძესთან სულიერად ამაღლებული ურთიერთობა აკავშირებს. ამ თეატრმა ხომ ნამდვილად აწონილი სიტყვა თქვა ქართულ-ებრაულ 26-საუკუნოვან ურთიერთობაში სპექტაკლით „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ და ამავე სახელწოდების წიგნით, რომელიც ქართულ და ივრითის ენებზე გამოიცა.

სპექტაკლმა მთელი საქართველო „მოიარა“ და იგი ნახა თითქმის ყველა იმ ქალაქისა და დაბა-სოფლის მაყურებელმა, სადაც გასული საუკუნის 70-90-იან წლებამდე ებრაელები კომპაქტურად სახლობდნენ (ქუთაისი, სამტრედია, კულაში, ლაილაში, ონი, სურამი, გორი, ახალციხე, თბილისი...) სპექტაკლის საგასტროლო „მოგზაურობის“ ზენიტი იყო ისრაელი, წმინდა მიწა, სადაც სპექტაკლის ავტორმა „მეორე საქართველო“ ნახა.

და აი, ივნისის ბოლოს საქართველოს ეწვია მონატრებული შვილი ბატონი ალექსანდრე პელეგი (ელიგულაშვილი) თავისი დუეტით „ელეგია“ (ალექსანდრე პელეგი, ლუიზა მანაშეროვი) მეუღლესთან და დასთან ერთად. „ელეგიამ“ პირველი კონცერტი თბილისში, ებრაელთა სახლში, გამართა, ხოლო მეორე -28 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში. კონცერტის წინ, ქალბატონი იზა ვეფხვაძე ჩვეული ორატორული ხელოვნებით შეეხო იმ ძირძველ ფესვებს, რომელზეც ამოიზარდა ორი ერის თანაარსებობის 26-საუკუნოვანი ჭეშმარიტი ისტორია, ხაზი გაუსვა იმ შთამბეჭდავ ეპიზოდებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს არსს იმ საოცარი სიტყვათშეხამებისას, რასაც ქართველი ებრაელი ჰქვია!..

ჟრუანტელისა და უკიდეგანო სიამოვნება-სიხარულის გარეშე როგორ შეიძლება წარმოიდგინო სურათი იმ ეპიზოდისა, რაც ქალბატონმა იზამ ისრაელში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას ნახა: აკვანს უჯდა ბებო და პაწაწინა შვილთაშვილს უტკბეს „იავნანას“ უმღეროდა ქართულად!..

რა შეედრება იმ მოულოდნელ აღტაცებას, რაც სტუმრებსა და მასპინძლებში სიურპრიზმა გამოიწვია - სცენაზე უხმეს ნიჭიერ ახალგაზრდას, თამარ ლურსმანაშვილს, რომელმაც სტუმართა მშობლიურ ენაზე შეასრულა სიმღერა „იერუშალაიმ!“ (პედაგოგი დალი მერაბიშვილი).

ეს გოგონა მომავალი ვარსკვლავია, ემოცია არ მყოფნის შესატყვისი მადლობა გამოვხატო მის მიმართ, - წარმოთქვა აღფრთოვანებულმა ბატონმა ალექსანდრემ.



### მიწის ყივილი და მონატრება ...

ისტორიის ქარტეხილებით მსოფლიოში გაფანტულ უძველეს ერს ეღირსა წინაპართა სანუკვარი ოცნების ასრულება, დაუბრუნდნენ აღთქმულ მიწას. საქართველოდან წავიდნენ ებრაელებიც... ისინი ხომ აქ, ქართულ მიწაზე წერდნენ თავისი „სულის ბიოგრაფიას“ და შემდეგ მისი წერა განაგრძეს ისრაელში, თუმცა იოლი არ იყო ეს განშორება, რადგან ქართული მიწის მადლი, ქართული მიწის სურნელი იზიდავდა და იზიდავს აქედან წასულებსაც და მათს შთამომავლებსაც...

რა დიდებულადაა გამოხატული ეს გრძნობა ქვემოთ აღნიშნულ ტაეპებში:

*„გული გაიპო, გაიბზარა, სული აღშფოთდა,*
*მიწის ყივილი დედო ზარად რეკავს, არისხებს,*
*ეს განშორება ბავშვობა და ქართული მიწა,*
*მთელი ცხოვრება გვიძახებს და არ მოგვასვენებს...“*
*/ იზა ვეფხვაძე/*

სწორედ ამგვარი აღშფოთების, მონატრებისა და მიწის ყივილის გამოძახილია ის მშვენიერი წუთები, რაც დუეტმა „ელეგიამ“ განგვაცდევინა ხარაგაულელებს უმშვენიერესი პროგრამით, საშემსრულებლო ხელოვნებითა და იმ სიმღერის პრემიერით, რომელიც იზა ვეფხვაძის ტექსტზე შექმნა ალექსანდრე პელეგმა. 21 მელოდიის მოსმენის შემდეგ 22-ე იყო სწორედ პრემიერა სიმღერისა „ხარაგაულს.“ თვით ლექსი ძალზე ლირიკულ ფერებში გამოხატავს იმ განუშორებელი სიყვარულის გრძნობას, რაც მის ავტორს ხარაგაულთან აკავშირებს. ხოლო კომპოზიტორის მიერ მისადაგებულმა მელოდიამ კიდევ უფრო მეტი ძალა მიანიჭა ამ ღვთიურ გრძნობას და მსმენელი მშვენიერების უნაზეს სამყაროში გადაიყვანა...

გვწამს, რომ ლექსიც და მელოდიაც ნამდვილად „დაბინადრდა“ ხარაგაულისა და ხარაგაულელებისადმი სიყვარულის დიდ განძთსაცავში...

### ანზორ თხელიძე და შიმშონა ბიძია...

ჩვენი მკითხველისათვის ალბათ ცნობილია, რომ ხარაგაულელებს საკუთარი წილი აქვთ ქართულ-ებრაულ თბილ და ტკბილ ურთიერთობებში. გასულ საუკუნეში აქ, ჩვენს პატარა დაბაში, კარის მეზობლებად გვყავდნენ: დათიკო, რუსუდან, ნანი და კაკო ხუნდიაშვილები, ნანული კრიხელი, რუსიკო ჩიკვაშვილი, ზებო ნანიკაშვილი, გაბო ხოტოველი, შიმშონა, დუღუნა, გაბრიელა, მოშე, დანიელი, სებია, კაკო, იაშა და სხვა მრავალი...

ერთხელ კიდევ მინდა გავიხსენო სიყვარულით გულსავსე ჩემი თანაკლასელი, აწ განსვენებული, ანზორ თხელიძე. ჩემი მოსწავლეობის პერიოდში შაბათი ჩვეულებრივი სასწავლო-სამუშაო დღე იყო და ანზორს ამ დღეს ყოველთვის აგვიანდებოდა პირველ გაკვეთილზე. მიცემულ შენიშვნაზე ანზორი ასე უპასუხებდა: მასწავლებელო, დღეს ხომ შაბათია და განა შემეძლო, არ შემევლო შიმშონა ბიძიასთან? (შიმშონა ებრაელი ანზორის კარის მეზობელი იყო). ჰოდა, მივედი, ცეცხლი დავუნთე, საჭმელი გავუთბე, სუფრა გავუშალე... ანზორი კარგად იცნობდა ებრაელთა ადათ-წესებს, ფლობდა ივრითის ენაზე სიტყვათა გარკვეულ მარაგს, ათამდე დავთვლაში ჩვენც გვავარჯიშებდა: ეხადი, შენაიმ, შემონა, შიშხა, ყაზარა, შერბაყა...

ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდი ერის შვილებთან ჩემი ურთიერთობა გაგრძელდა გორში სტუდენტობის წლებში. დაძმური ურთიერთობა მაკავშირებდა ინსტიტუტში შალვა შათაშვილთან, ოთარ მამისთვალოვთან, ზაირა მანაშეროვთან. კომუნისტური პარტიის ისტორიას გვიკითხავდა ებრაელი ლექტორი მანასე მიხელაშვილი, რომელიც თავს არ ზოგავდა, რომ ჩვენთვის პარტიის გმირული ისტორიის შესწავლის მიმართ ინტერესი გაეძლიერებინა...

ჩემი უსაყვარლესი თანაკურსელი იყო ელდარ მამისთვალიშვილი. მასთან და მის მშვენიერ ოჯახთან ურთიერთობას დღესაც განვაგრძობ. ელდარი ისტორიის ცნობილი მკვლევარი, მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. მის უამრავ წიგნთან ერთად ჩემი წიგნების თაროს მშვენებაა ელდარის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველ ებრაელთა ისტორია“ (გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბილისი 1995)

* * *

„ელეგიამ“ ნამდვილად მოხიბლა მაყურებელი და დაარწმუნა, რომ ხელოვნება ერთა შორის ურთიერთობის საიმედო ხიდია. კონცერტს დაესწრო და მშვენიერი სიტყვითა და საჩუქრით გამოხატა თავისი მადლიერება საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ, ასევე საკრებულოს დეპუტატმა ვალოდა (იუზა) კელენჯერიძემ, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა, ზრდასრულთა ცენტრის მენეჯერმა მანანა ტაბაშიძემ.

### „ჩემთვის ეს სიყვარულია!“

ეს სიტყვები ამშვენებს ბატონ ალექსანდრე პელეგის საკონცერტო აფიშას. ჩვენთვის, ქართველებისთვისაც სიყვარულია თქვენთან და თქვენს შემოქმედებასთან ურთიერთობა, ბატონო ალექსანდრე! ჩვენ ლოცვის მსგავსად წარმოვთქვამთ მარადიულ სადღეგრძელოდ სიტყვებს:

*„მაშ, ავწიოთ სასმისები*
*ყველამ ერთად, ყველამ ერთად,*
*ძმობის სადღეგრძელო იყოს*
*ქართველთა და ებრაელთა!..“*

დაე, მარადიულად ომახიანად ისმოდეს ეს სადღეგრძელო, ჩვენო ძმებო და დებო, ჩვენო ქართველო ებრაელებო!

ამინ!

მერი გიორგიძე

# დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მოისმინეს

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში მოისმინეს. საკითხის შესახებ ამავე სამსახურის უფროსმა აფრასიონ ლურსმანაშვილმა ისაუბრა. მომხსენებლის ინფორმაციით, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს: სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხების კოორდინაციას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა - ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, შესრულებული სამუშაოების ვადების კონტროლს, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს.

აფრასიონ ლურსმანაშვილმა სხდომაზე ყურადღება გაამახვილა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ საანგარიშო პერიოდში განახორციელეს. მისი ინფორმაციით, სამსახური ასევე მუშაობს მოსაკრებლის ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანის საკითხზე, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს ადგილობრივ ბიუჯეტში 45 359 ლარი შემოვიდა. 2019 წლის საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა რეაგირება მოახდინა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსულ 11 წერილზე, რომლებიც შეეხებოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში, სასმელი წყალი, მარმარილოსებრი კირქვა და ა.შ.) მოპოვების ლიცენზიას. მერიამ ლიცენზიის გაცემაზე დადებითი პოზიცია გამოხატა ხუთ ლოკაციაზე, უარყოფითი კი - ექვსზე.

მოხსენებითი ბარათის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე მიიჩნევს, რომ სამსახური ნაკლებ ყურადღებას აქცევს ინფრასტრუქტურულ პროექტებს და კომუნიკაცია არა აქვს დეპუტატებთან. მისივე თქმით, მათ არ გააჩნიათ მიწათმოწყობისა და განაშენიანების გენერალური გეგმა.

მშენებლობის ობიექტებზე ბანერების გაკეთება, ნარჩენების შესაბამის ადგილზე განთავსება- ამ და სხვა პრობლემების მოგვარება მიუთითეს დეპუტატებმა სამსახურის უფროსს. საკრებულოს წევრებმა კიდევ ერთხელ გაამახვილეს ყურადღება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური შენობების არსებობის შესახებ. აქვე დაინტერესდნენ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების მომენტში მიმართეს თუ არა გარემოს დაცვის სამინისტროს დროებითი კარიერის გამოყოფაზე.

„სამშენებლო ნარჩენების გატანა მშენებლობის ობიექტიდან კომპანიის ვალდებულებაა, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი შესაბამის ზომებს მივიღებთ. ასევე ვაცნობეთ კომპანიებს მშენებლობის ობიექტებზე ბანერების განთავსების შესახებაც,“ - განმარტავს აფრასიონ ლურსმანაშვილი. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უსახური შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილი კერძო საკუთრებაშია და ამ შემთხვევაში სამსახურს არანაირი უფლება არ აქვს მის მოსაწესრიგებლად. მიწათმოწყობისა და განაშენიანების გენერალურ გეგმაზე ლურსმანაშვილი აღნიშნავს, რომ სამსახურში სათანადო სპეციალისტი არ ჰყავთ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი მიიჩნევს, რომ ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურმა აღწერა უსახური და დაზიანებული შენობები, თუმცა შემდგომ რეაგირება არ მოახდინა. მისივე თქმით, იყო სხვადასხვა სახის დარღვევები, მაგრამ არ მოხდა, დებულების შესაბამისად, ამ პირების დაჯარიმება.

,,ანგარიშში საუბარი იყო სამსახურის მიერ გაცემულ ამა თუ იმ ნებართვის შესახებ, თუმცა არ დაუკონკრეტებია მიზეზები, რის საფუძველზე მოხდა მისი გაცემა ან რა იყო ხელის შემშლელი ფაქტორები.“ - განაცხადა ჭიპაშვილმა და სამსახურის ანგარიში უარყოფითად შეაფასა.

საკრებულოს სხდომაზე მყოფი 23 დეპუტატიდან ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში თვრამეტმა შეაფასა უარყოფითად, ხოლო ოთხმა დეპუტატმა (ნიკოლოზ მაღრაძემ, ვახტანგ ტალახაძემ, თეიმურაზ ფცქიალაძემ და მიხეილ ჭიპაშვილმა) - დადებითად. კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძემ.

თამარ მაღრაძე

# „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“ საბა ებანოიძე გახდა

***29 ივნისს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში საგანმანათლებლო პროექტის, „ეტალონის“, ფინალი გაიმართა. ათეული წელია, რაც ინტელექტ-ჩემპიონატი მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელს უწყობს ცოდნის პოპულარიზაციასა და ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას. წლევანდელი ფინალი განსაკუთრებული აღმოჩნდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის, 2018-2019 სასწავლო წლის „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“ წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მე-10 კლასის ერთ-ერთი ღირსეული და გამორჩეული მოსწავლე, საბა ებანოიძე გახდა. საბამ უპრეცედენტო შედეგი — 56 წამში 90 — ქულა დააფიქსირა. განათლების სამინისტრომ მას ჯილდოდ 1000 ლარი გადასცა, ხოლო კომპანია „არემჯი-გოლდმა“ - 2500 ლარი. ფინალურ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ საპატიო სტუმრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მათ შორის, საბას მშობლები, პედაგოგი და კლასის დამრიგებელი მანანა კიკნაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობების საკითხებში ინგა ბერაძე.***

***საბას გამარჯვებას დიდი სიხარულით შეხვდა ხარაგაულის საზოგადოება, დღემდე მილოცვებს იღებს მისი სკოლა და ოჯახი, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ამ საოცრად ჭკვიანი ბიჭის წარმატებაში.***

***ყველა მშობელს სურს, მისი შვილი გამორჩეული იყოს. მაინც რაზეა დამოკიდებული ბავშვის წარმატება სკოლის პერიოდში? რამდენად მნიშვნელოვანია ამ დროს მშობლის როლი? ამ კითხვებით საბას დედას, მაია ბერაძეს, მივმართეთ.***

„მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც საბას გულშემატკივრობდა და გაიზიარა ჩვენი დიდი სიხარული. იყო მშობელი და თან ხუთი შვილის, ეს ენით აღუწერელი ბედნიერებაა. ასმაგად ბედნიერი ხდები, თუ შვილები რეალიზებულები არიან. ბავშვის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახი, სკოლა და ის გარემო, რომელშიც იზრდება. რასაკვირველია, ასევე მისი პიროვნული თვისებები. მშობელი დიდ დროს უნდა უთმობდეს შვილის მრავალმხრივ განვითარებას, უნდა მივცეთ დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

„ეტალონში“ საბას წარმატებამ დიდი სიხარული მოგვიტანა. ვფიქრობდი და მქონდა მოლოდინი, რომ ათეულში აუცილებლად მოხვდებოდა, მაგრამ პირველ ადგილს არ ველოდი. თუმცა ხშირად ვეუბ-



ნებოდი საბას, რომ ის აუცილებლად გახდებოდა „საქართველოს ეტალონი მოსწავლე,“ მაგრამ ყოველთვის აპროტესტებდა ჩემს სიტყვებს და მეუბნებოდა - „კარგი რა, დედა, ნუ გგონია შენი შვილი ყველაზე ჭკვიანი.“ საბას არ უყვარს აქტიურობა, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, რომ არა მისი მასწავლებლებისა და მამა ანტონის (სულთანიშვილი) თხოვნა, არც „ეტალონში“ მიიღებდა მონაწილეობას და არც ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში, სადაც მისმა დაწერილმა თემამ „ერთი დღე მერად“ გამარჯვება მოიპოვა და საკმაოდ ნაყოფიერი და სამახსოვრო დღე გაატარა ხარაგაულის მერთან, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძესთან. საბას „ეტალონში“ ღირსეული გამარჯვება ჩემთვის უბედნიერესი და დაუვიწყარი წუთები იყო... საქართველოს 78 საუკეთესო მოსწავლეს შორის, გამარჯვებული რომ შენი შვილი ხდება, ამაზე სასიხარულო რა უნდა იყოს დედისთვის. საბას გამარჯვება მისი სკოლის გამარჯვებაა, მისი პედაგოგების უდიდესი დამსახურებაა... მინდა, ულრმესი მადლობა გადავუხადო წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის თითოეულ პედაგოგს.

ძნელია საკუთარი შვილების ქება საქვეყნოდ, მაგრამ ვთვლი, რომ კარგი შვილების დედა ვარ. განსაკუთრებულია საბა თავისი სიმშვიდით, დამოუკიდებლობით, მიზანდასახულობით, მოწესრიგებულობით. ვერ ვიტყვი, რომ ბეჯითია და დღედაღამ მეცადინეობს, მაგრამ არის საოცრად ინტერესიანი, რასაც ხელს მოჰკიდებს, აუცილებლად გააკეთებს. არასდროს მიკითხავს მისთვის, მოამზადა თუ არა გაკვეთილები, ვენდობი და მჯერა მისი... ჩვენ, მშობლები, ხელს ვუწყობთ თითოეულ მათგანს, რომ თავისი დასახული მიზნები განახორციელონ. არ ვარ მკაცრი დედა, არც ისეთი, რომ მუდმივად ჩემი მზრუნველობის და მეთვალყურეობის ქვეშ მყავდნენ. ვცდილობ, რაც შეიძლება დამოუკიდებლები იყვნენ.

მე და ჩემი მეუღლე ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი შვილები, პირველ რიგში, იყვნენ ღირსეული ადამიანები, ვცდილობთ, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ. ირაკლი ჩემზე მეტად მზრუნველი და მოსიყვარულეა, მამის როლი შვილების აღზრდის პროცესში ყოველთვის გამორჩეული იყო და არის დღესაც. ის არის მაგალითის მიმცემი, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული ადამიანი. დღედაღამ თავდაუზოგავად შრომობს და შვილებსაც აყვარებს შრომას. ბავშვებმა კარგად იციან, განათლებისა და შრომის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

ბავშვებს ყოველთვის ერთ რამეს ვუმეორებ, სჯეროდეთ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების, ოცნებისა და მიზნად დაისახონ ის, რისი მიღწევაც მომავალში სურთ. პირველ რიგში, ვცდილობ ვიყო მათთვის კარგი მეგობარი და შექება ყოველთვის სჭარბობდეს საყვედურებს. როგორც ყველას, მათაც არ უყვართ ზედმეტი აკრძალვები და შენიშვნები. ბავშვები რომ ლაღები და ბედნიერები აღიზარდნონ, ოჯახში სიყვარული, პატივისცემა და სიმშვიდე უნდა სუფევდეს. ჩვენს ოჯახს ეს ნამდვილად არ აკლია...“

***როგორც საბა ებანოიძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, „ეტალონში“ მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა, თუმცა მასწავლებელთა თხოვნის შემდეგ ეს გადაწყვეტილება მიიღო.***

— ჩემმა სკოლამ და პედაგოგებმა, რომლებმაც შემაყვარეს სწავლა, მომცეს სტიმული, „ეტალონში“ მიმეღო მონაწილეობა, რისთვისაც მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს. რომ გითხრათ, დღედაღამ ვმეცადინეობ, მოგატყუებთ, თუმცა სისტემატურობა კი მახასიათებს. რაც არ უნდა ბეჯითი და ნიჭიერი იყო, გამორიცხულია - ორი ან სამკვირიანი მეცადინეობით ასეთ შედეგს მიაღწიო. ეს ცოდნა წლების განმავლობაში დაგროვდა. ნახევარფინალში რომ გავიმარჯვე, უფრო მეტი სტიმული მომეცა. ამის შემდეგ არც ერთ გაკვეთილს არ ვსწავლობდი ზერელედ. ვფიქრობდი, შესაძლებელი იყო სწორედ ეს საკითხი შემხვედროდა ფინალში. მიზანმა, რომ საბოლოო გამარჯვებისთვის მიმეღწია, სკოლაში სწავლის სურვილი უფრო გამიმძაფრა. მასწავლებლებიც ხშირად მეუბნებოდნენ, რომ მე აუცილებლად გავიმარჯვებდი, ეს მოტივაციას უფრო მიმაღლებდა.

***- როდესაც ფინალში „ეტალონის“ წამყვანმა შენი სახელი გამოაცხადა, რა ემოცია დაგეუფლა, ელოდებოდი გამარჯვებას?***

- ვფიქრობდი, ათეულში მოვხვდებოდი, მაგრამ „საქართველოს ეტალონი მოსწავლე“ თუ გავხდებოდი, არ მეგონა. როდესაც თქვეს, ის მოსწავლეები, რომლებმაც 76 ქულა დააგროვეს ათეულში მოხვდნენო, ვიცოდი, 90 ქულით კარგი ადგილი შემხვდებოდა. როცა გამოაცხადეს, რომ პირველ ადგილზე გასულს 90 ქულა ჰქონდა, უკვე მივხვდი, რომ გამარჯვებული ვიყავი. მშობლებს დავუმალე და არ ვუთხარი რამდენი ქულა მქონდა მიღებული, მინდოდა, მოულოდნელი ყოფილიყო მათთვის ეს სიხარული. ცოტა კი ვანერვიულე ყველა, მაგრამ სამაგიეროდ დიდი სიხარული მივანიჭე... მე ზუსტად ვიცი, რომ 78 მოსწავლეს შორის ჩემზე მეტად ბეჯითები და მომზადებულებიც იყვნენ, მაგრამ ალბათ ყველაზე მეტად იმან შემიწყო ხელი, რომ საერთოდ არ ვნერვიულობდი. ფინალამდე მონაწილეობა მქონდა მიღებული გეოგრაფიის სასკოლო ოლიმპიადაში და ათეულში გასული მოსწავლეები ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის ბანაკში წაგვიყვანეს, სადაც ისეთი დატვირთული გრაფიკი გვქონდა, ვერც შევძელი მეფიქრა და მენერვიულა. ჩემმა ემოციურმა სიმშვიდემ ხელი შემიწყო და შევძელი გამარჯვება. ნერვიულობა ხშირად ხელს უშლის ადამიანს, გამოავლინოს თავისი ცოდნის მაქსიმუმი.

***- რა შეგმატა „საქართველოს ეტალონი მოსწავლის“ ტიტულმა?***

-ამ პროექტმა უფრო მეტი თავდაჯერებულობა შემძინა. ყველაზე მთავარი და ჩემთვის სასიხარულო ისაა, რომ უამრავი ადამიანი გავახარე, მხვდებიან, მირეკავენ, მწერენ და მილოცავენ ნაცნობები და უცხოებიც. ნამდვილად სასიამოვნოა, რომ ვასახელე ჩემი სკოლა, ჩემი ოჯახი და რაიონი.

***-რას აპირებ მომავალში, პროფესია თუ გაქვს არჩეული?***

-ბევრი საგანი მომწონს და მაინტერესებს, ჯერჯერობით ვერ ჩამოვყალიბდი, რა პროფესიას ავირჩევ. მაგრამ ერთი ვიცი, რასაც გადავწყვეტ, ვეცდები, პირველ რიგში, ეს ჩემთვის იყოს საინტერესო და საზოგადოებისთვის სასარგებლო. უფრო ტექნიკური საგნები მომწონს. ვნახოთ, ჯერ დრო მაქვს...

დაინტერესებული ვარ ასტრონომიით და ახლახან შევიძინე ტელესკოპი. თავისუფალ დროს მიყვარს ფორტეპიანოზე დაკვრა, ხატვა, არ მიზიდავს კომპიუტერული თამაშები. მშობლები მენდობიან ბოლომდე და ვცდილობ მათ ეს ნდობა გავუმართლო.

ლელა ბუბულაშვილი

# დეპუტატებმა არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზებას მხარი არ დაუჭირეს

საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა თეთრაწყაროში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხი განიხილეს. როგორც ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ჯაბა ბერაძე განმარტავს, საუბარია სოფელ თეთრაწყაროში მდებარე 2830 კვ.მ მიწის ფართობზე, რომლის ღირებულება 8200 ლარია. მომხსენებლის ინფორმაციით, ეს არის ყოფილი ფერმის შენობა, რომლის ადგილზეც დარჩენილია მხოლოდ საძირკველი.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძემ. დეპუტატი ამბობს, რომ მიწის ნაკვეთი კომისიის წევრებთან ერთად მოინახულა, ადგილზე შეხვდა თეთრაწყაროს მცხოვრებლებს, რომლებიც მიწის გასხვისებას აპროტესტებენ. ადგილობრივები აცხადებენ, რომ ნაკვეთს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საძოვრებისათვის იყენებენ. მათი თქმით, ამ ტერიტორიაზე ასევე წყლის რამდენიმე სათავე - ნაგებობაა.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი საკითხს მოუმზადებლად თვლის და აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის აზრის გათვალისწინება.

დეპუტატებმა ერთსულოვნად გაიზიარეს თეთრაწყაროელების სურვილი. აქედან გამომდინარე, 2830 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზებას მხარი არ დაუჭირეს.

თამარ მაღრაძე

# საკრებულომ მერიის კულტურის სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასა

დეპუტატებმა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკრებულოს წევრებს საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ გააცნო. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა იმ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტში უშუალოდ კულტურის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სამოყვარულო ტურნირი „დევების ბაშო,“ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში გამართული დოლი, ტრადიციად ქცეული ანზორ მაღრაძის სახელობის ტურნირი, საერთაშორისო ოლიმპიური დღე- ეს ის



არასრული სპორტული ღონისძიებების ჩამონათვალია, რომლებიც კულტურის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა. გარდა ამისა, სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში.

მოეწყო პროექტი ,,თეატრი ყველა პატარას“, რომლის ფარგლებში სპექტაკლი გაიმართა სარგვეშში, ლაშეში, მარელისში, ლელვანში, ვარძიაში, წიფაში, ნადაბურში, ვერტყვიჭალასა და ღორეშაში. ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული.

ქალბატონმა ირინემ ყურადღება გაამახვილა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის მიღწევებზე, ასევე შეეხო ქორეოგრაფიული ანსამბლების არაერთ წარმატებას.

მერიის წარმომადგენელმა მუზეუმისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის არაერთ აქტივობასა და ინოვაციებზე ისაუბრა.

დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მუშაობა და ხმათა სრული უმრავლესობით, დადებითად შეაფასეს.

თამარ მაღრაძე

## ხარაგაულში ანსამბლ „კახორის“ სოლო კონცერტი გაიმართა

ხარაგაულის კინოთეატრში ანსამბლ „კახორის“ სოლო კონცერტი გაიმართა. ანსამბლის წევრები მაყურებლის წინაშე განახლებული რეპერტუარით წარდგნენ. კონცერტს მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე უძღვებოდა, რომელმაც ანსამბლის წარმატებებსა და ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციაზე ისაუბრა.



„კახორის“ ბიჭების უმეტესობა ბავშვობიდან ერთად მღერის. ანსამბლ „საუნჯის“ სახელით მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

2012 წელს ახალგაზრდებმა თავიანთი გუნდი ჩამოაყალიბეს და ანსამბლს სახელი ხარაგაულის კახორის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავის პატივსაცემად უწოდეს. მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული მრავალ ფესტივალზე და არაერთი საპრიზო ადგილისა და გრანპრის მფლობელები არიან. ანსამბლის ლოტბარი მათივე წევრი ალეკო მიქელაძეა.

## ანსამბლმა „ოდილამ“ „არტ-გენის“ ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში ქართული ფოლკლორული და თვითშემოქმედების ფესტივალის „არტ-გენი 2019" რეგიონალური ტურნეს დასკვნითი კონცერტი გაიმართა, რომელშიც იმერეთის მუნიციპალიტეტების ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები იღებდნენ მონაწილეობას. ხარაგაულის სახელით მაყურებლის წინაშე ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან“ არსებული უხუცესთა ანსამბლი „ოდილა" წარდგა. ანსამბლის წევრებმა ორი სიმღერა შეასრულეს და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს. „ოდილა“ 30 წელზე მეტია, მოღვაწეობს და მის რეპერტუარში არაერთი უძველესი სიმღერა შედის. ფესტივალზე ასევე მოეწყო ქართული რეწვისა და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა.

## გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის პირადობის მოწმობები უფასოდ გაიცემა

იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, საარჩევნო სიის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით, გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის პირადობის ელექტრონული მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია დაიწყო.

მოქალაქეებს აქციით სარგებლობა მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ. ისინი თავისუფლდებიან როგორც პირადობის მოწმობის, ისე ფოტოსურათის გადაღების საფასურისგან. სურვილის შემთხვევაში, აქციით ისარგებლებენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთაც 2021 წლის პირველ იანვრამდე უსრულდებათ 18 წელი.

2020 წლის პირველ ნოემბრამდე პირადობის მოწმობის უსასყიდლოდ მიღება შეუძლიათ პირებს, თუ:

მათ სახელზე 2019 წლის პირველ ივლისამდე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი არ ყოფილა გაცემული;

მათზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი 2019 წლის პირველ ივლისამდეა გაუქმებული ან უქმდება 2020 წლის პირველ ნოემბრამდე;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოსურათები გამოუსადეგარია (უხარისხოა) ან, საერთოდ, არ ინახება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;

რეგისტრაციიდან არიან მოხსნილნი, გაუქმებული აქვთ პირადობის მოწმობა და აქციის ფარგლებში დარეგისტრირდებიან კონკრეტულ მისამართზე;

მისამართის გარეშე არიან რეგისტრირებულნი, აქვთ გაუქმებული პირადობის მოწმობა და დარეგისტრირდებიან კონკრეტულ მისამართზე;

რეგისტრირებულნი არიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არ ფლობენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს, ამასთან, გაუქმებული აქვთ პირადობის მოწმობა და დარეგისტრირდებიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ კონკრეტულ მისამართზე.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში პირადობის ელექტრონული მოწმობა 3 020 000-ზე მეტ მოქალაქეზე გაიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურ ამომრჩეველთა ბაზები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მსურველმა უნდა მიმართოს იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცხელ ხაზზე:

32 2 40 10 10.

## ხარაგაულში სკოლების რეაბილიტაცია იგეგმება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რვა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდება. ამ ეტაპზე შერჩევა - შეფასების პროცესი ხუთ სკოლაზე მიმდინარეობს (N3 საჯარო სკოლის, N2 საჯარო სკოლის თეთრაწყაროს კორპუსის, ღორეშის სკოლის ოთახებისა და სველი წერტილების, ნადაბურის საჯარო სკოლაში სველი წერტილების, მოლითის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია). ბორის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოები კი ხელშეკრულების მომზადების პროცესშია. გარდა ამისა, პროექტირება მიმდინარეობს ლელვნისა და ხიდრის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობაზე.

## „უბისმა'' ბაქოში საერთაშორისო საბავშვო ცეკვის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უბისმა" ქალაქ ბაქოში მესამე საერთაშორისო საბავშვო ცეკვისა და შემოქმედების ფესტივალში „კავკასიის ცეცხლი" მიიღო მონაწილეობა. ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩერქეზეთის, რუსეთისა და ოსეთის ქორეოგრაფიული ანსამბლები. ფესტივალი გუბის რაიონში გაიმართა, სადაც გუბის გუბერნატორმა მონაწილე ანსამბლებს სამახსოვრო სუვენირები გადასცა და ბავშვებს პიკნიკი მოუწყო. ანსამბლი ,,უბისი" მაყურებლის წინაშე ცეკვა ,,მთიულურით" წარდგა, რომელმაც დიდი მოწონება და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. ანსამბლის ხელმძღვანელებსა და ყველა წევრს მადლობის სიგელი გადაეცათ.





## ხარაგაულის მოსახლეობის საყურადღებოდ!

ხევი-უბისას ავტობანის მშენებლობაზე დასაქმების მიზნით იწყება კადრების მიღება შემდეგ სპეციალობებზე: მშენებლობის პრარაბი, მიწაზე მომუშავე პერსონალი, ოპერატორები, ლითონზე მომუშავე პერსონალი, ბეტონზე და ხის მასალაზე მომუშავე პერსონალი, შემდუღებლები, ელექტრიკოსები, გეოდეზისტები, არმატურის მქსოველები, მექანიკოსი, დამხმარე მუშები, ბეტონის ქარხნის ოპერატორი.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად, 17 ივლისს, ოთხშაბათს, 13 საათზე, ხარაგაულის კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება შეხვედრა, სადაც მშენებელი კომპანიისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენს კითხვებს უპასუხებენ.

თბილისი-ლესელიძის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის ხევი-უბისა (F2) 12-კილომეტრიან მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობას ჩინური კომპანია „Hunan Road and Bridge Construction Group“ ახორციელებს.

კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს სოფელ ბორითში.

საკონტაქტო პირები:
593 317 618 გიზო;
598 58 93 35 Mister Khu


## ნოდარ ახალკაცის სახელობის ტურნირში ვახანის გუნდმა გაიმარჯვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის ორგანიზებით, სოსო და მურთაზ აბაშიძეების სტადიონზე ნოდარ ახალკაცის სახელობის ტურნირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ადმინისტრაციული ერთეულის გუნდები. ფინალურ შეხვედრაზე ერთმანეთს ვახანისა და დაბის გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩი ვახანის გუნდის გამარჯვებით 5:0 დასრულდა.



გამოვლინდნენ საუკეთესო ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარის ტიტული წილად ხვდა იაკობ შავიძეს, საუკეთესო მცველი ზურაბ ეჯიბაძე გახდა, საუკეთესო ნახევარმცველი კი - გიორგი კურტანიძე. ტურნირის ბომბარდირის წოდება გაიოზ ბლუაშვილს მიენიჭა.

ასევე, დაჯილდოვდა ტურნირის ასაკოვანი და ვეტერანი ფეხბურთელი სოსო აბაშიძე, რომლის სახელსაც ატარებს ხარაგაულის საფეხბურთო სტადიონი.

ვახანის გუნდს ტურნირისათვის სპეციალურად დამზადებული თასი გადაეცა. ორგანიზატორების თქმით, ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩამონათვალს ციხისძირი დაემატა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩამონათვალს ციხისძირი დაემატა. ამის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულომ უკვე მიიღო. როგორც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა განმარტა, ციხისძირი გასულ წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლად მოიაზრებოდა. ამის დასამტკიცებლად კი გოლუბიანმა არაერთი საბუთი წარადგინა.

კენჭისყრაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩამონათვალში ციხისძირის დამატებას მხარი დაუჭირეს. აქედან გამომდინარე, გაიზარდა ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის სამოქმედო ტერიტორია (ბორითი, საქასრია, მაქათუბანი, უბისა, ერეთა, ვაშლევი, კვესრევი, ამაშუკეთი, ციხისძირი).

ამჟამად მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში 79 სოფელია.

## პროექტის პრეზენტაცია - „WASH ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისათვის"

8 ივლისს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში პროექტის „WASH ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისათვის“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტს ახორციელებს კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „CENN,“ ხოლო ფინანსური მხარდამჭერია New World Program.



აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იმერეთის რეგიონში „CENN-ის“ კოორდინატორი შოთა გაფრინდაშვილი და ჭიათურის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე თიკო ბედინაშვილი ხარაგაულს სტუმრობდნენ.

შოთა გაფრინდაშვილის თქმით, პროექტი მიზნად ისახავს წყლის მიწოდების, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) პირობების გაუმჯობესებას რეგიონულ სკოლებში და სოციალურად დაუცველ მრავალეთნიკური თემების ოჯახებში.

WASH პროგრამის ფარგლებში 2018-2019 წლებში საქართველოს მასშტაბით ათი მუნიციპალიტეტიდან 210 სკოლა იქნა გამოკვლეული. შეხვედრაზე მოხდა კვლევების შედეგებისა და შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოხდა სამი საჯარო სკოლის (ლელვნის, უბისისა და კიცხის) სასმელი წყლის შემოწმება.

შოთა გაფრინდაშვილმა სკოლის დირექტორებს წყალმომარაგების მოწესრიგებაში დახმარება აღუთქვა.

ლელვნის საჯარო სკოლის დირექტორის, მანანა კიკვაძის, თქმით, სკოლასთან ახლოს მოძიებულია წყლის სათავე - ნაგებობა, მილებიც შეძენილია, დახმარება მხოლოდ წყლის ორტონიანი რეზერვუარის შესაძენად ესაჭიროებათ. მისივე ინფორმაციით, წყლის მიწოდების პრობლებას სკოლა მხოლოდ შემოდგომაზე უჩივის.

„სასმელი წყლის მიწოდების პრობლება არ აქვს უბისის საჯარო სკოლას,“ - აცხადებს ამავე სკოლის დირექტორი მარინე სახვაძე და აქვე დასძენს, სკოლაში რომ სუფთა წყლით სარგებლობა შეძლონ, საჭიროა ფილტრის შეძენა.

წყალმომარაგების პრობლემა მწვავედ დგას კიცხის საჯარო სკოლაში. დირექტორი თამარ წიწილაშვილი წუხს, რომ კიცხში ახალი სკოლის მშენებლობის პროექტი წყლის სისტემის მოწესრიგებას არ ითვალისწინებს. წიწილაშვილის თქმით, სკოლასთან ახლოს იყო სასმელი წყლის ჭა, რომელიც ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით იქნა გაუქმებული. „სკოლა აგვისტოდეკემბერში ფაქტობრივად წყლის გარეშეა. ამის მიზეზი კი არასაკმარისი დებეტია. საჭიროა, კიცხის საჯარო სკოლას საკუთარი წყალი ჰქონდეს,“- ამბობს თამარ წიწილაშვილი.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეთაგან შეიქმნა „WASH-ის“ ათკაციანი საბჭო, რომელიც მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების პრობლემებს ადვოკატირებას გაუწევს.

თამარ მაღრაძე


გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22-32-25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12